0001135602088543

თბილისის სააპელაციო სასამართლო
ქ. თბილისი, გრ. რობაქიძის 7ა ტელ: 251-85-21/22/23; ფაქსი 251-87-11
ვებ-გვერდი: www.tbappeal.court.ge; ელ. ფოსტა: tbappeal@court.ge

---

საქმე №3ბ/2968-19
15.12.2022 წელი

სიღნაღის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო - თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია
მის: სიღნაღი, დავით აღმაშენებლის მოედანი N2

გეგზავნებათ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 20 ოქტომბრის განჩინებისა და განსხვავებული აზრის ასლი.

პატივისცემით,

სალომე ხერხაძე

თბილისის სააპელაციო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
მოსამართლე ინგა კვაჭანტირაძის თანაშემწე

განსხვავებული აზრი

საქმეზე #3ბ/2968-19, აპელანტი (მოსარჩელე) - [redacted] (მესამე პირი - [redacted] უფლებამონაცვლე); მოწინააღმდეგე მხარე (მოპასუხეები: 1. სიღნაღის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო - თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია, 2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 3. [redacted]; მესამე პირი - სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

გამოვხატავ რა ღრმა პატივისცემას კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობისადმი, ვსარგებლობ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 243-ე მუხლის მე-2 ნაწილით მონიჭებული უფლებით და წინამდებარე საქმეზე გამოვთქვამ ჩემს განსხვავებულ აზრს.

უპირველესად, განსხვავებული აზრი უკავშირდება არა საქმეზე არსებითი გადაწყვეტილების შედეგს, რომელსაც სრულიად ვეთანხმები, არამედ მხოლოდ ერთ-ერთ პროცესუალურ გარემოებას, კერძოდ მოწინააღმდეგე მხარისათვის (ადმინისტრაციული ორგანო) საპროცესო ხარჯის ანაზღაურების საკითხს.

უფრო კონკრეტულად, პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ კითხვას: იმ პირობებში, როდესაც საქმის განხილვა ინიცირებული იყო ფიზიკური პირის მიერ, რომელმაც შემდგომში უარი განაცხადა სააპელაციო საჩივარზე, ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა აუნაზღაურდეს თუ არა ის საპროცესო ხარჯი (სასამართლოს გარეშე ხარჯი - სამივლინებო ხარჯი), რომელიც მან გასწია აღნიშნულ საქმეზე სასამართლო წარმომადგენლობისთვის?

კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობამ მიიჩნია, რომ გაწეული სამივლინებო ხარჯის გადახდის წესი, ისევე როგორც საჯარო მოხელის მივლინების წესი, კანონმდებლობითაა მოწესრიგებული; სწორედ მოხელისთვის დაკისრებული იმ საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილებების განხორციელების აუცილებლობა წარმოშობს სამსახურებრივი მივლინების ხარჯის ანაზღაურების საჭიროებას, რაც უზრუნველყოფს საჯარო ინტერესების დაცვას. აღნიშნული კი განაპირობებს მითითებული პროცესის განსაკუთრებულ სამართლებრივ წესრიგში მოქცევას და მის მიმართ სპეციალური რეგულაციის არსებობას. კერძოდ, სამსახურებრივი მივლინების ხარჯი წარმოადგენს ხარჯს, რომლის გაწევაც დაკავშირებულია საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარი უფლებამოსილებების მისი ადგილმდებარეობის ფარგლებს გარეთ განხორციელების აუცილებლობასთან. მოხელეს, რომელიც უფლებამოსილი პირის ბრძანების საფუძველზე გაემგზავრება სამსახურებრივი დავალების შესასრულებლად მუდმივი სამუშაო ადგილის ფარგლებს გარეთ, სრულად უნაზღაურდება სამივლინებო ხარჯები. მივლინების ხარჯი გაწეულია მოხელის სააპელაციო სასამართლოში სასამართლო სხდომაზე გამოცხადების მიზნით, რაც ცალსახად უკავშირებდა მის სამსახურებრივ ფუნქციას - მერიის კანონიერი ინტერესების სასამართლოში დაცვას. ამასთან, საგულისხმოა ის გარემოება, რომ

ადგილობრივი თვითმართველობის (სიღნაღის მუნიციპალიტეტი) ბიუჯეტიდან.

ამდენად, კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობამ გაითვალისწინა რა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაწეული სამივლინებო ხარჯის დანიშნულების, ანაზღაურების წესის და პირობების თავისებურება, მიიჩნია, რომ ვინაიდან მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაწეული სამივლინებო ხარჯის ანაზღაურებასთან დაკავშირებით სპეციალურ რეგულაციას არ ითვალისწინებს, აღნიშნული ხარჯი ვერ იქნება მიჩნეული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლით განსაზღვრულ სასამართლოსგარეშე ხარჯად და ადმინისტრაციული ორგანოს სასარგებლოდ გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაში არ ექვემდებარება მეორე მხარისთვის დაკისრებას.

აღნიშნულის საპირისპიროდ მიმაჩნია, რომ სასამართლოს გარეშე ხარჯი ექვემდებარებოდა ანაზღაურებას ადმინისტრაციული ორგანოს სასარგებლოდ, შემდეგ გარემოებათა გამო:

უპირველესად, ვეთანხმები კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობის მიერ მოყვანილი არგუმენტაციას იმასთან დაკავშირებით, რომ მუნიციპალიტეტს გააჩნია საკუთარი ბიუჯეტი, გააჩნია მისი განკარგვის უფლებამოსილება, რომ ერთ-ერთი ამგვარი უფლებამოსილება, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო წარმომადგენლობის უზრუნველყოფა და ამ მიზნით მოხელის მივლინებაა, თუმცა მხოლოდ ამგვარი უფლებამოსილების არსებობა არ გულისხმობს იმას, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს არ უნდა აუნაზღაურდეს უსაფუძვლოდ გაწეული ხარჯი.

უფრო კონკრეტულად, საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სამართლწარმოებისათვის გაღებული ხარჯების ანაზღაურების წესსა და პირობებს. მართლმსაჯულების განხორციელება დაკავშირებულია საპროცესო ხარჯებთან, რომლებიც შედგება სასამართლო ხარჯებისგან და სასამართლოს გარეშე ხარჯებისგან (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილი). საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 37-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით განმარტებულია, თუ რას შეადგენს თითოეული მათგანი. კერძოდ, სასამართლო ხარჯებს შეადგენს სახელმწიფო ბაჟი და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები, ხოლო **სასამართლოს გარეშე ხარჯებს წარმოადგენს** ადვოკატისათვის გაწეული ხარჯები, დაკარგული ხელფასი (განაცდური), მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად გაწეული ხარჯები, **აგრეთვე მხარეთა სხვა აუცილებელი ხარჯები.**

პროცესის ხარჯები, რომელიც შედგება სასამართლო და სასამართლოს გარეშე ხარჯებისაგან, წარმოადგენს მხარეთა მიერ მატერიალური უფლებების დასაცავად (აღსადგენად, მოსაპოვებლად) გაწეულ ხარჯებს, რაც შესაძლებელია ანაზღაურდეს სარჩელზე დამდგარი იურიდიული შედეგის შესაბამისად და პროპორციულად, როგორც პროცესუალური მოთხოვნა. მოგებული მხარის სასარგებლოდ წაგებული მხარისათვის პროცესის ხარჯების დაკისრების სამართლებრივი საფუძვლები მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლში. ზოგადი პრინციპის შესაბამისად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს

[illegible] სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. ამდენად, იმ შემთხვევაში, როდესაც მოსარჩელის მოთხოვნა მართლზომიერია, მაშინ სწორედ მოპასუხე ხდება იმ ხარჯის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი, რომელიც მისი დაუსაბუთებელი მოქმედების/უმოქმედობის შედეგად წარმოიშვა და პირიქით - მოპასუხის პოზიციის საფუძვლიანობის შემთხვევაში, ამ უკანასკნელის მიერ გაღებულ სასამართლოს გარეშე ხარჯს, მოპასუხის მოთხოვნის შემთხვევაში, მოსარჩელე აანაზღაურებს.

ამდენად, განსაზღვრულია რა სასამართლოს გარეშე ხარჯების ანაზღაურების წესი, ვფიქრობ, რომ იგი თანაბრად უნდა გავრცელდეს როგორც ფიზიკურ და კერძო სამართლის იურიდიულ პირებზე, ასევე ადმინისტრაციულ ორგანოებზე; აღნიშნული პროცესუალური უფლებიდან ადმინისტრაციული ორგანოს გამორიცხვის ნორმატიული დანაწესი არ არსებობს; გაუგებარია, რატომ ვერ უნდა აინაზღაუროს მოგებულმა მხარემ - სახელმწიფომ/მუნიციპალიტეტმა ის ხარჯი, რომელიც მან იძულებით გასწია სასამართლო წარმომადგენლობისთვის.

ვერ გავიზიარებ ლოგიკას, რომლის თანახმადაც, სასამართლო წარმომადგენლობისა და მივლინების გაფორმებისას გაწეული ხარჯები არ ექვემდებარება ანაზღაურებას მხოლოდ იმის გამო, რომ ეს საქმიანობა ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება, ფუნქცია და მისი საჯარო უფლებამოსილებაა, რომელიც ფინანსდება ბიუჯეტიდან. აღნიშნულის საპირისპიროდ მიმაჩნია, რომ, რომ არა სარჩელი/სააპელაციო საჩივარი, ადმინისტრაციული ორგანო არ განახორციელებდა ზემოაღნიშნულ ფუნქციას და არ გასწევდა ხარჯებს; ანუ, ამ ტიპის კომპეტენცია არ არის ადმინისტრაციული ორგანოს (მოცემულ შემთხვევაში მუნიციპალიტეტის) ძირითადი საქმიანობის სფერო, მისი იმანენტური ფუნქცია, არამედ ეს უნდა ჩაითვალოს ძირითადი ფუნქციის შესასრულებლად საჭირო დამხმარე ფუნქციად, რომელიც, შესაძლოა არც არასოდეს განახორციელოს ადმინისტრაციულმა ორგანომ, თუკი იძულებული არ გახდა უფლებები დაიცვას სასამართლოში; ხოლო რადგან პირის მიერ სარჩელის/სააპელაციო საჩივრის შეტანის გამო ადმინისტრაციული ორგანო იძულებული გახდა გამოეყენებინა თავისი დამხმარე ფუნქცია, ხარჯი გასწია მის შესასრულებლად და საპროცესო კანონმდებლობა ოდნავადაც არ გამორიცხავს მისთვის ამ ხარჯების ანაზღაურების შესაძლებლობას, ვფიქრობ, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლით მინიჭებული უფლებით უნდა ისარგებლოს ადმინისტრაციულმა ორგანომაც და საქმის მის სასარგებლოდ დასრულების შემთხვევაში აინაზღაუროს საპროცესო ხარჯი, რაც მოცემულ საქმეში იმას გულისხმობს, რომ მოწინააღმდეგე მხარის (მოპასუხე) სიღნაღის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს - თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის წარმომადგენლის შუამდგომლობა სასამართლოს გარეშე ხარჯის ანაზღაურების თაობაზე, ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას.

მოსამართლე:

შოთა გეწაძე

საქმე № 210310118002755594
საქმე № 3ბ/2968-19

0001135411894960

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

20 ოქტომბერი, 2022 წელი

ქ. თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლო
ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

თავმჯდომარე ინგა კვაჭანტირაძე

მოსამართლეები მარიამ ცისკაძე

შოთა გეწაძე

სხდომის მდივანი სალომე გოგოლაძე

აპელანტი (მოსარჩელე) - [redacted] (**[redacted]** უფლებამონაცვლე)

მოწინააღმდეგე მხარე (მოპასუხე) - სიღნაღის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო - თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია
წარმომადგენელი - შალვა ბახტურიძე

მოწინააღმდეგე მხარე (მოპასუხე) - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
წარმომადგენელი - [redacted]

მოწინააღმდეგე მხარე (მოპასუხე) - [redacted]
წარმომადგენელი - [redacted]

მესამე პირი - სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
წარმომადგენელი - [redacted]

დავის საგანი - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა

გასაჩივრებული გადაწყვეტილება – სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილება

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ ზეპირი მოსმენით განიხილა აპელანტის - [redacted] (კანონიერი [redacted] უფლებამონაცვლე) შუამდგომლობა სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შესახებ და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა

სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილებით [redacted] სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი წარადგინა [redacted] რომელმაც სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 19 დეკემბრის განჩინებით აპელანტ [redacted] შუამდგომლობა სასამართლო ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლების თაობაზე არ დაკმაყოფილდა; აპელანტ [redacted] განესაზღვრა ვადა განჩინების ასლის ჩაბარებიდან 7 (შვიდი) დღე, სასამართლოს მიერ მითითებული ხარვეზის შესავსებად და დაევალა სასამართლოსთვის სახელმწიფო ბაჟის, დავის საგნის ღირებულების 4%, მაგრამ არანაკლებ 150 (ას ორმოცდაათი) ლარის გადახდის (დედნის სახით) ან სასამართლო ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლების დამადასტურებელი მტკიცებულების წარდგენა.

აღნიშნული განჩინება ფოსტის მეშვეობით ჩაბარდა აპელანტის ოჯახის წევრს (მეუღლეს) 2020 წლის 8 თებერვალს.

2020 წლის 14 თებერვალს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას განცხადებით მომართა [redacted] მეუღლემ - [redacted] და განმარტა, რომ აპელანტი გარდაიცვალა 2019 წლის 27 ნოემბერს. ამასთან, წარმოადგინა [redacted] გარდაცვალების მოწმობა და 2020 წლის 7 თებერვალს გაცემული სამკვიდროს მიღების შესახებ განცხადების წარდგენის შესახებ №200134493 მოწმობა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 2 მარტის განჩინებით [redacted] სააპელაციო საჩივარზე დასაშვებობის შემოწმების სტადიაზე (სააპელაციო საჩივარზე დადგენილი ხარვეზის შევსების ეტაპზე) შეჩერდა წარმოება [redacted] გარდაცვალების გამო, მისი უფლებამონაცვლის დადგენამდე, მაგრამ არაუმეტეს ერთი წლის ვადით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 23 ივლისის განჩინებით ადმინისტრაციულ საქმეზე №3ბ/2968-19 განახლდა საქმის წარმოება; ადმინისტრაციულ საქმეზე №3ბ/2968-19 გარდაიცვალა [redacted]

უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა [redacted] განესაზღვრა ვადა განჩინების ასლის ჩაბარებიდან 10 (ათი) დღე, სასამართლოს მიერ მითითებული ხარვეზის შესავსებად და დაევალა სასამართლოსთვის სახელმწიფო ბაჟის, დავის საგნის ღირებულების 4%, მაგრამ არანაკლებ 150 (ას ორმოცდაათი) ლარის გადახდის (დედნის სახით) ან სასამართლო ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლების დამადასტურებელი მტკიცებულების წარდგენა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 24 სექტემბრის განჩინებით [redacted] სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში 2022 წლის 20 ოქტომბერს გამართულ სასამართლო სხდომაზე [redacted] (მოპასუხის [redacted] უფლებამონაცვლე) იშუამდგომლა საქმის წარმოების შეწყვეტა სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის მოტივით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას წარმოდგენილი შუამდგომლობის განხილვის შედეგად მიაჩნია, რომ [redacted] (მოპასუხე [redacted] უფლებამონაცვლე) შუამდგომლობა სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს და უნდა შეწყდეს №3ბ/2968-19 ადმინისტრაციულ საქმეზე სააპელაციო წარმოება სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის გამო.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით.

სააპელაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით გათვალისწინებული დისპოზიციურობის პრინციპი ნიშნავს მხარეთა თავისუფლებას განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებები. დისპოზიციურობის პრინციპის ერთ-ერთ კონკრეტულ გამოვლინებას წარმოადგენს სააპელაციო საჩივარზე უარის თქმა, რომელსაც უკავშირდება საპროცესო სამართლებრივი შედეგი სააპელაციო საქმის წარმოების შეწყვეტა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 378-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივარზე უარის თქმა დასაშვებია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შემთხვევაში, სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას, რის შემდეგაც მხარეს ერთმევა უფლება კვლავ გაასაჩივროს სასამართლო გადაწყვეტილება სააპელაციო წესით.

სააპელაციო სასამართლო აღნიშნავს, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ [redacted] (ადვ. [redacted] უფლებამონაცვლე) უარი განაცხადა სააპელაციო საჩივარზე, სააპელაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მისი შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს და №3ბ/2968-19 ადმინისტრაციულ საქმეზე მის მიერ წარდგენილ სააპელაციო საჩივარზე უნდა შეწყდეს სააპელაციო საქმის წარმოება.

სააპელაციო სასამართლო მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მე-4 ნაწილზე, რომლის შესაბამისად, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მთლიანად გათავისუფლება ან სახელმწიფო ბაჟის ოდენობის განახევრება ხდება ამ მუხლით დადგენილი წესით, მხოლოდ ამ ინსტანციებისათვის განსაზღვრული სახელმწიფო ბაჟის ოდენობის ფარგლებში.

განსახილველ შემთხვევაში, აპელანტის მიერ სააპელაციო საჩივრის შეტანისას სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილია 150 (ასორმოცდაათი) ლარი, შესაბამისად, [redacted] უნდა დაუბრუნდეს მოცემულ საქმეზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნახევარი 75 (სამოცდათხუთმეტი) ლარის ოდენობით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში 2022 წლის 22 ივნისს წარმოდგენილი წერილობითი შუამდგომლობით მოწინააღმდეგე მხარის (მოპასუხე) - სიღნაღის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს - თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის წარმომადგენელმა - შალვა ბახტურიძემ იშუამდგომლა სამივლინებო ხარჯის, როგორც სასამართლოს გარეშე ხარჯის ანაზღაურების (31 (ოცდათერთმეტი ლარის ოდენობით)) თაობაზე (იხ. ტ. II, ს.ფ. 243-248).

სააპელაციო სასამართლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-5 თავის ნორმების საფუძველზე განმარტავს, რომ საპროცესო კანონმდებელობა ითვალისწინებს სამართლწარმოებისათვის გაღებული ხარჯების, ოდენობის, მათი ანაზღაურების წესსა და პირობებს. მართლმსაჯულების განხორციელება დაკავშირებულია საპროცესო ხარჯებთან, რომლებიც შედგება სასამართლო ხარჯებისგან და სასამართლოს გარეშე ხარჯებისგან (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილი). საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 37-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით განმარტებულია, თუ რას შეადგენს თითოეული მათგანი. კერძოდ, სასამართლო ხარჯებს შეადგენს სახელმწიფო ბაჟი და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები, ხოლო **სასამართლოს გარეშე ხარჯებს წარმოადგენს** ადვოკატისათვის გაწეული ხარჯები, დაკარგული ხელფასი (განაცდური), მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად გაწეული ხარჯები, **აგრეთვე მხარეთა სხვა აუცილებელი ხარჯები.**

სააპელაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ პროცესის ხარჯები, რომელიც შედგება სასამართლო და სასამართლოს გარეშე ხარჯებისაგან, წარმოადგენს მხარეთა მიერ მატერიალური უფლებების დასაცავად (აღსადგენად, მოსაპოვებლად) გაწეულ ხარჯებს, რაც შესაძლებელია ანაზღაურდეს სარჩელზე დამდგარი იურიდიული შედეგის შესაბამისად და პროპორციულად, როგორც პროცესუალური მოთხოვნა. მოგებულ მხარის სასარგებლოდ წაგებული მხარისათვის პროცესის [illegible]

სამართლებრივი საფუძვლები მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლში. ზოგადი პრინციპის შესაბამისად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან (სსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილი). ამავე სამართლებრივი ნორმის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. ამდენად, იმ შემთხვევაში, როდესაც მოსარჩელის მოთხოვნა მართლზომიერია, მაშინ სწორედ მოპასუხე ხდება იმ ხარჯის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი, რომელიც მისი დაუსაბუთებელი მოქმედების/უმოქმედობის შედეგად წარმოიშვა და პირიქით - მოპასუხის პოზიციის საფუძვლიანობის შემთხვევაში, ამ უკანასკნელის მიერ გაღებულ სასამართლოს გარეშე ხარჯს, მოპასუხის მოთხოვნის შემთხვევაში, მოსარჩელე აანაზღაურებს.

განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ სპეციფიკას, რომლითაც მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლის ზემოაღნიშნული პროცესუალური მოთხოვნა (ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლის სამივლინებო ხარჯის, როგორც სასამართლოს გარეშე ხარჯის ანაზღაურება) ხასიათდება.

სააპელაციო სასამართლო მოიხმობს სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის №2 დადგენილებით დამტკიცებულ „სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებას", რომელიც საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" ევროპული ქარტიის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი", საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად, განსაზღვრავს სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის (შემდგომში – მერია) სტრუქტურას, მერიის თანამდებობის პირებისა და სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილებებს და მუშაობის ორგანიზებას. მითითებული დებულების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მერი არის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელი და მუნიციპალიტეტის უმაღლესი თანამდებობის პირი, ხოლო მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის მერი წარმოადგენს მუნიციპალიტეტს და მოქმედებს მისი სახელით ოფიციალური ურთიერთობებისას. მუნიციპალიტეტის სახელით ანიჭებს წარმომადგენლობით უფლებამოსილებებს, მათ შორის, რწმუნებებს (მინდობილობებს), გარდა ამ დებულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

დადგენილია, რომ 2022 წლის 18 იანვარს სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გაიცა №ა54.54220181 აქტი მასზედ, რომ სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერი ენდობა სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელს - შალვა ბახტურიძეს, რათა მან დაიცვას სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერესები თბილისის სააპელაციო სასამართლოში [redacted] უფლებამონაცვლე) სააპელაციო საჩივართან (საქმე №ბ2968-19) დაკავშირებით. რწმუნება გამოცემულია 2022 წლის 18 იანვრიდან [illegible]

დეკემბრამდე (იხ. ტ. II, ს.ფ. 200).

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს საჯარო მოსამსახურის სტატუსს, პროფესიული საჯარო მოხელის დასაქმებისა და სამსახურის გავლის პირობებს, საჯარო სამსახურის მართვის საკითხებს, აწესრიგებს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტის ორგანოებში (დაწესებულებებში) და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში საჯარო მოსამსახურეთა სამოხელეო სამართლებრივ ურთიერთობებს, თუ ამავე კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

მითითებული საკანონმდებლო აქტის 51-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, მოხელე შესაძლებელია საჯარო დაწესებულების გადაწყვეტილებით, სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად გაგზავნილ იქნეს სამსახურებრივი მივლინებით როგორც ქვეყნის ფარგლებში, ისე მისი ფარგლების გარეთ. მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესი, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობა და პირობები, აგრეთვე მასთან დაკავშირებული სხვა სოციალური გარანტიები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

დადგენილია, რომ სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 31 მარტის №ბ54.54220902 ბრძანებით სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - შალვა ბახტურიძე მივლინებულ იქნა ქ. თბილისის სააპელაციო სასამართლოში, მერიის ინტერესების დამცველად, [redacted] სააპელაციო საჩივრის განხილვაზე, 2022 წლის 31 მარტს, ერთი დღით და მიეცა სამივლინებო თანხა (იხ. ტ. II, ს.ფ. 246-247).

საქართველოს კანონი „საბიუჯეტო კოდექსი“ განსაზღვრავს საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ფორმირების პრინციპებს, არეგულირებს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტების პროექტების მომზადების, განხილვის, დამტკიცების, ბიუჯეტების შესრულების, ანგარიშგებისა და კონტროლის წესებს, აგრეთვე საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტების და მათ მიერ შექმნილი/დაფუძნებული იურიდიული პირების საბიუჯეტო ურთიერთობებსა და პასუხისმგებლობას. მითითებული საკანონმდებლო აქტის 1[1] მუხლის თანახმად, ამ კოდექსის მოქმედება ვრცელდება საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და **ადგილობრივი ხელისუფლებების ორგანოებზე, აგრეთვე მათ მიერ შექმნილ/დაფუძნებულ იურიდიულ პირებსა და ორგანიზაციებზე,** გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული გამონაკლისებისა. ამავე საკანონმდებელო აქტის მე-6 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, **ბიუჯეტი** - არის საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და **ადგილობრივი ხელისუფლებების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით** მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების შესაბამისი ორგანოების მიერ.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილი №211 დადგენილებით დამტკიცებული პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის წესი (შემდგომში – წესი) განსაზღვრავს პროფესიულ საჯარო მოხელეთა (შემდგომში – მოხელე) მივლინებით გაგზავნის წესს, სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებას, კომპენსაციის ოდენობასა და მივლინებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

მითითებული წესის მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, მოხელე შესაძლებელია, საჯარო დაწესებულების გადაწყვეტილებით, სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად გაგზავნილ იქნეს სამსახურებრივი მივლინებით როგორც ქვეყნის ფარგლებში, ისე მისი ფარგლების გარეთ. მოხელის მივლინებით გაგზავნის საფუძვლებია: ა) ოფიციალური მოწვევა სამსახურებრივი საჭიროების მიზნით; ბ) სამსახურებრივი საჭიროება; გ) საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარი უფლებამოსილებების საჯარო დაწესებულების ადგილმდებარეობის ფარგლებს გარეთ განხორციელების აუცილებლობა. ამავე წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სამსახურებრივ მივლინებად მიიჩნევა შესაბამისი საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის ან საამისოდ უფლებამოსილი პირის ბრძანებით მოხელის გამგზავრება სამსახურებრივი დავალების შესასრულებლად მუდმივი სამუშაო ადგილის ფარგლებს გარეთ, ხოლო მე-7 პუნქტის შესაბამისად, მოხელეს, რომელსაც გზავნიან სამსახურებრივ მივლინებაში, სრულად უნდა აუნაზღაურდეს სამივლინებო ხარჯები მივლინებაში ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში, გარდა ამ წესით დადგენილი გამონაკლისებისა.

სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 თებერვლის №11 დადგენილებით დამტკიცებული „სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის დებულების" მე-4 და მე-5 მუხლების თანახმად, სამსახურის ერთ-ერთ განყოფილებას წარმოადგენს სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება, რომელიც დადგენილი წესით უზრუნველყოფს მერიის კანონიერი ინტერესების დაცვას სასამართლოში (მე-5 მუხლის „დ" ქვეპუნქტი).

სააპელაციო სასამართლო განმარტავს, რომ თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და ნორმალური მმართველობითი საქმიანობის განხორციელებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვან ფაქტორს საჯარო მოხელეთა მიერ სახელმწიფოსაგან დელეგირებული საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების რეალიზება წარმოადგენს. სწორედ მოხელისთვის დაკისრებული იმ საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილებების განხორციელების აუცილებლობა წარმოშობს სამსახურებრივი მივლინების ხარჯის ანაზღაურების საჭიროებას, რაც უზრუნველყოფს საჯარო ინტერესების დაცვას. აღნიშნული კი განაპირობებს მითითებული პროცესის განსაკუთრებულ სამართლებრივ წესრიგში მოქცევას და მის მიმართ სპეციალური რეგულაციის არსებობას. კერძოდ, სამსახურებრივი მივლინების ხარჯი წარმოადგენს ხარჯს, რომლის გაწევაც დაკავშირებულია საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარი უფლებამოსილებების მისი ადგილმდებარეობის ფარგლებს გარეთ განხორციელების აუცილებლობასთან. მოხელეს, რომელიც უფლებამოსილი პირის ბრძანების საფუძველზე გაემგზავრება სამსახურებრივი დავალების შესასრულებლად მუდმივი სამუშაო ადგილის ფარგლებს გარეთ, სრულად უნაზღაურდება სამივლინებო

აღსანიშნავია, რომ განსახილველ შემთხვევაში სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელისთვის (შალვა ბახტურიძე) ანაზღაურებული სამოვლინებო ხარჯი გაწეულია მოხელის სააპელაციო სასამართლოში სასამართლო სხდომაზე გამოცხადების მიზნით, რაც ცალსახად უკავშირებდა მის სამსახურებრივ ფუნქციას - მერიის კანონიერი ინტერესების სასამართლოში დაცვას. ამასთან, საგულისხმოა ის გარემოება, რომ სამსახურებრივი ფუნქციის განხორციელებასთან დაკავშირებული სამივლინებო ხარჯის ანაზღაურება, ისევე როგორც მოხელის შრომის ანაზღაურება, უზრუნველყოფილია ადგილობრივი ხელისუფლების (სიღნაღის მუნიციპალიტეტი) ბიუჯეტიდან.

ამდენად, სააპელაციო სასამართლო ითვალისწინებს რა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაწეული სამივლინებო ხარჯის დანიშნულების, ანაზღაურების წესის და პირობების თავისებურებას, მიიჩნევს, რომ ვინაიდან მოქმედი საპროცესო კანონმდებელობა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაწეული სამივლინებო ხარჯის ანაზღაურებასთან დაკავშირებით სპეციალურ რეგულაციას არ ითვალისწინებს, აღნიშნული ხარჯი ვერ იქნება მიჩნეული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლით განსაზღვრულ სასამართლოს გარეშე ხარჯად და ადმინისტრაციული ორგანოს სასარგებლოდ გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაში არ ექვემდებარება მეორე მხარისთვის დაკისრებას. შესაბამისად, მოწინააღმდეგე მხარის (მოპასუხე) - სიღნაღის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს - თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის წარმომადგენლის შუამდგომლობა უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სააპელაციო სასამართლო, მოცემულ შემთხვევაში, ხელმძღვანელობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 274-ე მუხლით, რომლის თანახმად, სასამართლოს განჩინებაზე საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 274-ე და 378-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა

1. [redacted] (საქმეში [redacted] უფლებამონაცვლე) შუამდგომლობა სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. №3ბ/2968-19 ადმინისტრაციულ საქმეზე შეწყდეს სააპელაციო წარმოება [redacted] (საქმეში [redacted] უფლებამონაცვლე) მიერ სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის გამო.

3. სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.

4. [redacted] ([redacted] უფლებამონაცვლე) დაუბრუნდეს მოცემულ საქმეზე 2020 წლის 21 სექტემბერს მის მიერ სს „საქართველოს ბანკში“ გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან - 150 (ასორმოცდაათი) ლარიდან 75 (სამოცდათხუთმეტი) ლარი, საიდენტიფიკაციო კოდი 01006004981, სახაზინო კოდი 300773150, ბანკის კოდი (სახელმწიფო ხაზინა) TRESGE22.

5. განემარტოს [redacted] ([redacted] უფლებამონაცვლე), რომ მას ერთმევა უფლება კვლავ გაასაჩივროს სასამართლო გადაწყვეტილება სააპელაციო წესით.

6. მოწინააღმდეგე მხარის (მოპასუხე) - სიღნაღის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს - თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის წარმომადგენლის შუამდგომლობა სასამართლოს გარეშე ხარჯის ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.

7. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6) თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მეშვეობით (თბილისი, გრ. როზაქიძის გამზ. №7ა), მხარეთათვის განჩინების ასლის ჩაბარებიდან 12 დღის ვადაში.

თავმჯდომარე **ინგა კვაჭანტირაძე**

მოსამართლეები **მარიამ ცისკაძე**

შოთა გეწაძე

ასლი დედანთან სწორია
თბილისის სააპელაციო სასამართლო
ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა